საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-740

2021 წლის 24 მაისი

ქ. თბილისი

დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის ელექტრონული სისტემის წარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

„დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის 5^8 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ,,დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის ელექტრონული სისტემის წარმოების შესახებ“ თანდართული ინსტრუქცია.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2021 წლის 1 ივნისიდან.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრი **ლევან დავითაშვილი**

<u>დანართი</u>

ინსტრუქცია

დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის ელექტრონული სისტემის წარმოების შესახებ

მუხლი 1. ინსტრუქციის რეგულირების სფერო

ეს ინსტრუქცია ადგენს დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის ელექტრონული სისტემის (შემდგომში - ელექტრონული სისტემა) წარმოების წესს.

მუხლი 2. ელექტრონული სისტემის ადმინისტრირება

1. ელექტრონული სისტემის ადმინისტრირებას (მართვას) ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (შემდგომში – დეპარტამენტი).

2. ელექტრონული სისტემის ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი (შემდგომში – ცენტრი).

მუხლი 3. ელექტრონულ სისტემაში მონაცემთა შემტანი ადმინისტრაციული ორგანოები და ინფორმაციის წარმდგენი საქმიანობის სუბიექტები

1. ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი ინფორმაციის შეტანისთვის, მათ შორის - შესაბამისი დოკუმენტების ატვირთვისთვის ვალდებულ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს დეპარტამენტი.

2. ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება აქვს საქმიანობის სუბიექტს, რომელიც ახორციელებს „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის (შემდგომში - ტექნიკური რეგლამენტის) დანართი 5-ით განსაზღვრულ საქმიანობას და გააჩნია უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის წარმოების ვალდებულება (შემდგომში - საქმიანობის სუბიექტი).

3. დეპარტამენტი უფლებამოსილია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ფიზიკური პირის იდენტიფიცირების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოითხოვოს და გამოიყენოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის

იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცული პერსონალური მონაცემები.

მუხლი 4. საქმიანობის სუბიექტის რეგისტრაციის მოთხოვნები

1. საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირების მიზნით მიმართოს დეპარტამენტს და მიაწოდოს რეგისტრაციისათვის სავალდებულო სრულყოფილი და ზუსტი ინფორმაცია.

2. რეგისტრაციისათვის სავალდებულო მონაცემებია/დოკუმენტებია:

ა) საქმიანობის სუბიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემები;

ბ) საწარმოს ადგილმდებარეობა - ფაქტობრივი მისამართი, GPS კოორდინატები;

გ) ეკონომიკური საქმიანობის სახე (სახეები);

დ) საიდენტიფიკაციო მონაცემები საქმიანობის სუბიექტის ხელმძღვანელი პირის შესახებ, ასევე საკონტაქტო პირის (პირების) შესახებ (სახელი, გვარი, თანამდებობა, მობილური ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი), რომელიც უფლებამოსილია საქმიანობის სუბიექტის სახელით მიიღოს დეპარტამენტისგან ელექტრონული შეტყობინებები (SMS, ელექტრონული ფოსტა), მათ შორის, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის დადგენილი ნორმების გადამეტების დაფიქსირების შესახებ;

ე) ინფორმაცია უწყვეტ მონიტორინგს დაქვემდებარებული მავნე ნივთიერებების, მათი გაფრქვევის კონკრეტული წყაროსა და წყაროსთან დაკავშირებული ხელსაწყო(ები)ს/სინჯის ამღებ(ებ)ის შესახებ:

ე.ა) წყაროს ნომერი (მაგ. გ-1);

ე.ბ) წყაროს GPS კოორდინატები (UTM);

ე.გ) წყაროს სტატუსი (მოქმედი/უმოქმედო და სხვ.);

ე.დ) წყაროს სამუშაო დროითი რეჟიმი (მაგ. დღე-ღამეში 8 სთ);

ე.ე) უწყვეტ მონიტორინგს დაქვემდებარებული ნივთიერებების ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები და აირჰაერმტვერნარევის ტემპერატურა, სამინისტროსთან შეთანხმებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის შესაბამისად;

ე.ვ) ხელსაწყოს/სინჯის ამღების მონაცემები, მათი საპასპორტო/სახელმძღვანელო დოკუმენტების შესაბამისად (მწარმოებელი, მოდელი, სერიული ნომერი, ნივთიერება და პარამეტრები და შესაბამისი გაზომვის ერთეულები და სხვა). ხელსაწყოს/სინჯის ამღების პასპორტის/საინფორმაციო ბარათის/ტექნიკური პარამეტრების დამადასტურებელი დოკუმენტის ორიგინალის ასლის და თარგმანის წარმოდგენა;

ე.ზ) შესაბამისი მონაცემის მოწოდების სიხშირე (წმ);

ე.თ) ხელსაწყოს/სინჯის ამღების მომდევნო დაკალიბრების თარიღი.

3. საქმიანობის სუბიექტი უფლებამოსილია დეპარტამენტს წარუდგინოს „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის 53-ე პუნქტით განსაზღვრული ნივთიერებების გარდა სხვა, არასავალდებულო მავნე ნივთიერებების და პარამეტრების გაზომვების შედეგები, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ე.ა“-„ე.დ“ და „ე.ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ხელსაწყოს/სინჯის ამღების შესაბამისი მონაცემების მითითებით.

4. დეპარტამენტის მიერ ხორციელდება ელექტრონულ სისტემაში საქმიანობის სუბიექტის რეგისტრაცია, რომლის დასრულების შემდგომ საქმიანობის სუბიექტს ელექტრონული ფოსტის - airhelp@des.gov.ge მეშვეობით, სარეგისტრაციო მონაცემებში მითითებულ ელექტრონულ ფოსტის მისამართზე გაეგზავნება შეტყობინება დარეგისტრირების შესახებ და მიეწოდება ელექტრონულ სისტემასთან დამაკავშირებელი სერვისის ტექნიკური მონაცემები, უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის მონაცემების გადაცემის მიზნით.

5. რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია გაფრქვევის წყაროს შესახებ არასრულად ან არასწორად წარმოდგენილი სარეგისტრაციო მონაცემები, ამ შემთხვევაში დასაბუთებული უარი ეცნობება საქმიანობის სუბიექტს. შეტყობინება რეგისტრაციაზე უარის შესახებ საქმიანობის სუბიექტს გაეგზავნება სარეგისტრაციო მონაცემებში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, ელექტრონული ფოსტის - airhelp@des.gov.ge მეშვეობით.

6. საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია, ამ ინსტრუქციით განსაზღვრულ ელექტრონულ სისტემაში შეტანილი სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილების შესახებ დეპარტამენტს აცნობოს აღნიშნული ცვლილების განხორციელებისთანავე.

7. საქმიანობის სუბიექტის სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების შეტანას ახორციელებს დეპარტამენტი, საქმიანობის სუბიექტის განაცხადის ან ინსპექტირებისას გამოვლენილი შეუსაბამობის შემთხვევაში.

მუხლი 5. ელექტრონული სისტემის წარმოების ზოგადი დებულებები

1. საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი სერვისის მეშვეობით უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის შედეგების უშუალოდ მონიტორინგის ხელსაწყოდან, ყოველგვარი ცვლილების გარეშე, უწყვეტ რეჟიმში, დადგენილი სიხშირით, დეპარტამენტისთვის გაგზავნა.

2. უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის შედეგების ელექტრონულ სისტემაში გაგზავნის შეფერხების/შეწყვეტისას, საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია ხარვეზის აღმოფხვრის შემდგომ, შეფერხების/შეწყვეტის პერიოდში მის მონაცემთა საცავში შენახული

თვითმონიტორინგის შედეგები, ყოველგვარი ცვლილების გარეშე, სერვისის საშუალებით მიაწოდოს დეპარტამენტს.

3. საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის შედეგების მიწოდების ნებისმიერი წყვეტის თაობაზე, შეწყვეტის მიზეზის (მაგ. დანადგარის გათიშვა, დაგეგმილი ტექნიკური სამუშაოების განხორციელება და ა.შ.) შესახებ ინფორმაციის დაზუსტებით, წინასწარ ან დაუყოვნებლივ აცნობოს დეპარტამენტს ცხელი ხაზის (153) ან/და ელექტრონული ფოსტის (airhelp@des.gov.ge) მეშვეობით, ან წერილობითი განცხადების საშუალებით. საქმიანობის სუბიექტის მიერ თვითმონიტორინგის შედეგების მიწოდების ნებისმიერი წყვეტის შესახებ ინფორმაციის ელექტრონულ ფოსტაზე (airhelp@des.gov.ge) გაგზავნის შემთხვევაში საქმიანობის სუბიექტი მიიღებს შეტყობინებას ინფორმაციის მიღების დადასტურების შესახებ.

4. საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია ხელსაწყოს/სინჯის ამღების დამონტაჟების შემდეგ ყოველი დაკალიბრების დამადასტურებელი დოკუმენტი და მომდევნო დაკალიბრების თარიღი წარმოადგინოს დეპარტამენტში დაკალიბრებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.

5. ამ ინსტრუქციის მე-5 მუხლით, ამ მუხლის პირველი და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევა ითვლება ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობად.

6. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტის მიერ მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევისას დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტად განსაზღვრის ვალდებულების შეუსრულებლობისთვის საქმიანობის სუბიექტს ეკისრება პასუხისმგებლობა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად

მუხლი 6. ტექნიკური მოთხოვნები

1. ელექტრონული სისტემის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის საქმიანობის სუბიექტმა უნდა უზრუნველყოს უწყვეტი ინტერნეტკავშირი და არანაკლებ ერთი სტატიკური გარე IP მისამართი.

2. ვებსერვისთან დასაკავშირებლად საჭიროა VPN ტუნელის შექმნა სამინისტროს ცენტრალურ სასერვეროსთან ან მომხმარებლის გარე IP მისამართის თეთრ სიაში გაწერა. საქმიანობის სუბიექტის მიერ IP მისამართისა და VPN ტუნელის პარამეტრების რეგისტრაციის/ცვლილების შემთხვევაში, პარამეტრების ასახვა განხორციელდება საქმიანობის სუბიექტისგან მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში.

3. საქმიანობის სუბიექტის ხელსაწყოს/სინჯის ამღების რეგისტრაციის შემდგომ დაგენერირდება xml ფაილი, რომელიც ვებსერვისის გამოყენების სახელმძღვანელოსთან ერთად გაეგზავნება საკონტაქტო პირს ელექტრონულ ფოსტაზე.

მუხლი 7. ელექტრონული სისტემის მომხმარებლის უფლებები

1. ელექტრონულ სისტემაში დაშვების უფლება, მათი სამსახურებრივი კომპეტენციებიდან გამომდინარე, გააჩნიათ დეპარტამენტის, სამინიტროს და სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სამსახურების თანამშრომლებს - სისტემის მომხმარებლებს.

2. ელექტრონულ სისტემაში მუშაობის მიზნით მომხმარებელს შესაძლებელია მიენიჭოს შემდეგი სახის უფლებები:

ა) ელექტრონულ სისტემაში ასახული ინფორმაციის დათვალიერების უფლება;

ბ) ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი ინფორმაციის შეტანისა და/ან ატვირთვის უფლება;

გ) ელექტრონულ სისტემაში ასახული მონაცემების რედაქტირების უფლება;

3. მომხმარებელს შესაძლებელია მიენიჭოს ერთზე მეტი სახის უფლება.

4. მომხმარებლის ზემოაღნიშნული უფლებები ავტომატურად იზღუდება დეპარტამენტის, ასევე სამინიტროს და შესაბამისი სამსახურების უფლებამოსილი პირების (შემდგომში – სხვა პირების) კომპეტენციების და სამოქმედო ტერიტორიის შესაბამისად. ამასთან, ცალკეული მომხმარებლის ან მომხმარებელთა ჯგუფების უფლებები შესაძლებელია შეიზღუდოს ან გაფართოვდეს ელექტრონული სისტემის ცალკეული მოდულების, ფორმების (ველების), რეგიონების მიხედვით, სპეციალური მოთხოვნის შესაბამისად.

5. დეპარტამენტის შესაბამის სტრუქტურული ქვედანაყოფის შესაბამის თანამშრომლებს, დადგენილი წესით, დეპარტამენტის უფროსის მიერ ენიჭებათ ელექტრონული სისტემის ადმინისტრირების, ასევე ელექტრონულ სისტემაში მონაცემების (მათ შორის საცნობარო მონაცემების) რედაქტირების უფლება.

მუხლი 8. ელექტრონულ სისტემაში მომხმარებელთა რეგისტრაციის პროცედურა და დაშვება

1. მომხმარებლის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციისა და სათანადო დაშვების უფლების მინიჭების, შეცვლის და გაუქმების მიზნით, სამინიტროს და სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სამსახურები დეპარტამენტს წარუდგენენ წერილობით მიმართვას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომხმარებლის რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონული სისტემის ადმინისტრირების უფლების მქონე დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ, მომხმარებლის სახელისა და პირველადი პაროლის მინიჭებით, რომელიც მომხმარებელს ეცნობება ელექტრონულად (SMS, ელექტრონული ფოსტა).

მუხლი 9. პასუხისმგებლობა ელექტრონული სისტემის წარმოებაზე

1. მომხმარებლებად დარეგისტრირებული პირები ვალდებულნი არიან არ დაუშვან მომხმარებლის სახელის და პაროლის სხვა პირებზე გადაცემა.

2. ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ ორგანოებს და მათ თანამშრომლებს უფლება არ აქვთ არასამსახურებრივი მიზნით გამოიყენონ ელექტრონულ სისტემაში ასახული ინფორმაცია.